



განცხადება # 2

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები

79 ბათუმის საარჩევნო ოლქი

79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 34 საარჩევნო უბანზე პატიმრობიდან გათავისუფლებულ ამომრჩეველს მისცეს უფლება ხმა მიეცა პირადობის მოწმობის გარეშე, გათავისუფლების ცნობის წარდგენის საფუძველზე.

79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 55 საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა სხვის ნაცვლად ხმის მიცემის ფაქტი.

79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 69 საარჩევნო უბანზე ამომრჩეველმა კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, ყალბი პირადობის მოწმობის წარდგენის საფუძველზე. კერძოდ მოქალაქემ წარადგინა ირაკლი ორმოცაძის 2005 წლის 15 მაისს გაცემული პირადობის მოწმობა და შესაბამისად მისცა ხმა. რამოდენიმე ხნის შემდეგ უბანში მოვიდა მოქალაქე ირაკლი ორმოცაძე, წარმოადგინა პირადობის მოწმობა და მის მაგივრად ხმა უკვე მიცემული იყო. ჩვენს მიერ დაწერილი იქნა **საჩივარი** უბანზე.

„სამართლიანი არჩევნები“ გამომდინარე იქედან, რომ არსებობს ყალბი პირადობის მოწმობის გამოყენების ვარაუდი, მიმართავს პროკურატურას გამოიძიოს აღნიშნული ფაქტი და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.

79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 15 საარჩევნო უბანზე ამომრჩეველმა სხვის ნაცვლად მოაწერა ხელი ამომრჩეველთა გრაფაში. ჩვენი ორგანიზაციის მიერ დაიწერა **საჩივარი**.

79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 75 საარჩევნო უბანზე ამომრჩეველმა ხმა მისცა პირადობის მოწმობის კსეროასლის წარდგენით. „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებლის მიერ დაიწერა **საჩივარი**.

79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 43 საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა ერთიან სიაში არ იყო მინიშნება სიის დანართში გადატანილი ამომრჩევლების შესახებ. იგივე ფაქტები დაფიქსირდა # 49 და # 52 საარჩევნო უბნებზე. აღნიშნულ საარჩევნო უბნებზე დაიწერა **საჩივარი** ჩვენი დამკვირვებლების მიერ.

79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 68 საარჩევნო უბანზე ერთიან სიაში არ აღმოჩნდა ადამიანი, რომელიც იყო სიის დანართში.

79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 49 უბანზე გადასატან ყუთის წამლებ კომისიის წევრებს, საარჩევნო უბნის კომისიამ პროპორციული და მაჟორიტარული ბიულეტენების ნაცვლად ორივე მაჟორიტარული ბიულეტენები გაატანეს. დაიწერა **საჩივარი** „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებლის მიერ.



79 ბათუმის საარჩევნო ოლქის **# 51** საარჩევნო უბანზე სრულუფლებიანი დაკვირვების სამუალება შეეზღუდა „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებელს. ხოლო, **# 9** საარჩევნო უბანზე „სამართლიანი არჩევნების“ მობილურ ჯგუფს შეეზღუდა დაკვირვების უფლება.

80 ქედის საარჩევნო ოლქი

80 ქედის საარჩევნო ოლქის **# 31** საარჩევნო უბანზე ამომრჩეველმა ხმა მისცა პირადობის მოწმობის გარეშე. ჩვენი დამკვირვებლის მიერ დაიწერა **საჩივარი**.

81 ქობულეთის საარჩევნო ოლქი

81 ქობულეთის საარჩევნო ოლქის **# 46** საარჩევნო უბანზე ამომრჩეველმა ხმა მისცა პირადობის მოწმობის გარეშე. ამასთან დაკავშირებით დაიწერა **საჩივარი**, თუმცა საუბნო სარჩევნო კომისიამ არ მიიღო „სამართლიანი არჩევნების“ **საჩივარი**, შესაბამისად **საჩივარი** შეტანილია **# 81 ქობულეთის** საარჩევნო ოლქში.

81 ქობულეთის საარჩევნო ოლქის **# 61** საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა პირადობის მოწმობის გარეშე ხმის მიცემის ფაქტი. დაიწერა **საჩივარი**.

81 ქობულეთის საარჩევნო ოლქის **# 26** საარჩევნო უბანზე კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველმა, რომელიც არ იყო შეყვანილი ერთიან სიაში. ამ უბანზე დაიწერა **საჩივარი**.

82 შუახევის საარჩევნო ოლქი

82 შუახევის საარჩევნო ოლქის **# 3** საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა პირადობის მოწმობის გარეშე ხმის მიცემის მცდელობა.

83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქი

83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქის **# 59** საარჩევნო უბანზე საარჩევნო ყუთში ჩაიყარა 15 ყალბი ბიულეტენი. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებელმა დაწერა **საჩივარი**.

83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქის **# 38** საარჩევნო უბანზე **ორმა** ამომრჩეველმა მიიღო კენჭისყრაში მონაწილეობა ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერის გარეშე. აღნიშნულ უბანზე დაიწერა **საჩივარი** ჩვენი ორგანიზაციის მიერ.

83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქის **# 3** საარჩევნო უბანზე „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებელზე განხორციელდა ზეწოლა. დამკვირვებელს დაურეკეს და მოსთხოვეს გაჩუმება.



84 ხულოს საარჩევნო ოლქი

84 ხულოს საარჩევნო ოლქის # 17 საარჩევნო უბანზე სამმა ამომრჩეველმა კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო მარკირების გავლის გარეშე. აღნიშნულ უბანზე „სამართლიანი არჩევნების“ წარმომადგენელმა დაწერა საჩივარი.

ამ ეტაპისათვის „სამართლიანი არჩევნების“ მიერ საარჩევნო ადმინისტრაციებში (აჭარის ა/რ-ის ტერიტორიაზე) შეტანილია სულ 26 საჩივარი, რომელთაგან სამი არ დარეგისტრირდა საარჩევნო უბნებში და შეტანილ იქნა შესაბამის საარჩევნო ოლქში.

„სამართლიანი არჩევნების“ არჩევნების დღის მონიტორინგი დაფინანსებულია ეუთოსა და საქართველოში ბრიტანეთის საელჩოს მიერ.

ამ დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის „სამართლიან არჩევნებს“ და არ გამოხატავს ეუთოსა და საქართველოში ბრიტანეთის საელჩოს ოფიციალურ პოზიციას.